ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N3

სხდომის ჩატარების დრო:
28 დეკემბერი, 2021 წელი

სხდომის ჩატარების ადგილი:
რუსთაველის გამზირი N3
ადგილობრივი თვითმმართველობის
შენობაში არსებული სხდომათა დარბაზი

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ლევან სანიკიძე.**

ესწრებოდნენ კომისიის წევრები:
მაგდა კოსტავა, თეიმურაზ ნადირაძე, ამირან კოპალეიშვილი, მამუკა რიჟამაძე, ზაქრო მამასახლისი, მაია სიმონიძე, ბესიკ ბრეგაძე, ნინო ბიბილეიშვილი, გრიგოლ შუშანია, გიორგი კილაძე.

სულ: 11 წევრი.

არ ესწრებოდნენ: ლაშა შალამბერიძე, დავით ბახტაძე.

სულ: 2 წევრი.

სხდომის ჩატარებაში მონაწილეობდნენ:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის- ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე ვალერი სილაგაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენგელია, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე პაატა ლილუაშვილი.

სხდომა გახსნა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა **ლევან სანიკიძემ** და წარმოადგინა სხდომის დღის წესრიგის შემდეგი პროექტი:

1.ახალი კორონავირუსის („COVID-19) გავრცელების გამო, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის

მარშრუტებზე M_2 (ავტობუსები 5 ტონამდე სრული მასით) და M_3 (ავტობუსები 5 ტონაზე მეტი სრული მასით) კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით მომსახურების გამწევ კომპანიებზე, 2021 წლის 8 თებერვლიდან 2021 წლის 31 მაისის ჩათვლით პერიოდში ნებართვების გაცემის ფასის გადაუხდელობით არსებული დავალიანების 2022 წლის ბოლომდე განწილვადებით გადახდის თაობაზე;

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ქუთაისის სატრანსპორტო კომპანიისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ;

3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების (ავტოსატრანსპორტო საშუალების ნაწილების) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ქუთაისის სატრანსპორტო კომპანიისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ;

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით მოსაზრებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ლევან სანიკიძემ** დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 11-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ლაშა შალამბერიძე, დავით ბახტაძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

დამტკიცდეს კომისიის სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი რედაქციით.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის პირველი საკითხის-**„ახალი კორონავირუსის („COVID-19) გავრცელების გამო, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მარშრუტებზე M_2 (ავტობუსები 5 ტონამდე სრული მასით) და M_3 (ავტობუსები 5 ტონაზე მეტი სრული მასით) კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით მომსახურების გამწევ კომპანიებზე, 2021 წლის 8 თებერვლიდან 2021 წლის 31 მაისის ჩათვლით პერიოდში ნებართვების გაცემის ფასის გადაუხდელობით არსებული დავალიანების 2022 წლის ბოლომდე განწილვადებით გადახდის თაობაზე"**

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილემ, ბატონმა **ვალერი სილაგაძემ.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ბატონმა **ვ.სილაგაძემ** აქვე განმარტა: „მოგეხსენებათ, 2020 წლის 1 ნოემბრიდან 2021 წლის 7 თებერვლამდე საქართველოს მასშტაბით გაჩერებული იყო მუნიციპალური ტრანსპორტი, ქალაქები იყო პარალიზებული, 8 თებერვლიდან აღდგა ტრანსპორტის მოძრაობა და გადამზიდავებს კვლავ დაეკისრათ გადასახადის გადახდის ვალდებულება, თუმცა რეალურად 8 თებერვლიდან არ ყოფილა მგზავრთა ნაკადის ის რაოდენობა, რომ შემოსულობა ყოფილიყო ნორმალური და გადამზიდავებს შეძლებოდათ გადასახადის გადახდა, ხარჯი ბევრად აღემატებოდა შემოსულ თანხას.“

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

კომისიის წევრი, ბატონი **გრიგოლ შუშანია:** „თქვენის ნებართვით ვისაუბრებ აღნიშნულ საკითხზე, მქონდა კომუნიკაცია მძღოლებთან და აღნიშნეს, რომ მათ შეპირდნენ, რომ ზემოხსენებული პერიოდის განმავლობაში გათავისუფლდებოდნენ გადასახადებისაგან, თუმცა მოხდა შემდეგნაირად, საკრებულომდე აღნიშნული გადაწყვეტილება მოვიდა გვიან, იურიდიულად არ იყო ეს თემა განმტკიცებული და ეს მძღოლები დარჩნენ უიმედოდ, რამაც გამოიწვია დიდი აყალ-მაყალი, ყოველივე აქედან გამომდინარე მე გთავაზობთ, ეს თანხა, განწილვადებით გადახდის მაგივრად დავტოვოთ გადაუხდელი, უბრალოდ მომავალ წელს ზუსტად ამ პერიოდის განმავლობაში რა პეროდშიც წინა წელს, მძღოლები გავათავისუფლოთ გადასახადისაგან კვლავ. ჩემი აზრით იურიდიულადაც გამართული იქნება და მძღოლების რისხვასაც არ გამოიწვევს.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის- ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე, ბატონი **ვალერი სილაგაძე:** „განვმარტავ, რომ საკითხში საუბარია 2021 წლის 8 თებერვლიდან 2021 წლის 31 მაისამდე პერიოდში გადასახდელ თანხაზე და არა იმ 3 თვეზე, როდესაც გადამზიდავები გათავისუფლებულები იყვნენ გადასახადის გადახდის ვალდებულებისაგან.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი **ირაკლი შენგელია:** „თვითმმართველობას რეალურად ამ მოსაკრებლის გაუქმების საშუალება არ აქვს, რაც არ უნდა შეღავათი დავაწესოთ, გადასახადი რჩება, ჩვენ შეგვიძლია გადავანაწილოთ ეს გადასახადი შემლებისდაგვარად. როდესაც პანდემიიდან გამომდინარე ქალაქში პარალიზებული იყო ტრანსპორტის მოძრაობა, ჩვენ მივიღეთ საშეღავათო გადაწყვეტილება.“

კომისიის წევრი, ბატონი **ბესიკ ბრეგაძე:** „ჩემი სუბიექტური აზრია, რომ ეს საკითხი ძირეულად შესასწავლია, დავსხდეთ საფინანსო და ტრანსპორტის სამსახურების წარმომადგენლებთან ერთად, სიტყვა-სიტყვით განვიხილოთ და შევისწავლოთ საკითხის არსი და მივიღოთ გონივრული გადაწყვეტილება. ეს საკითხი გადავდოთ სამომავლო განხილვისათვის.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი **ირაკლი შენგელია:** „კიდევ ერთხელ განვმარტავ, როდესაც ჩვენ მივიღეთ ეს გადაწყვეტილება და

შევაჩერეთ გადასახადი, მას წინ უძღვოდა მთავრობის დადგენილება, რითიც მთავრობამ თვითმმართველობას მოგვცა საშუალება დაგვეწესებინა შეღავათები. "

კომისიის წევრი, ბატონი **ბესიკ ბრეგაძე:** „ამ კონკრეტულ შემთხვევაში საუბარია იმ გადასახადზე, როდესაც აღდგა ტრანსპორტის მოძრაობა და ათვლა დაწყებულია აქედან, ზუსტად ეს გადასახადი არ აქვთ გადამზიდავებს გადახდილი."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის- ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე, ბატონი **ვალერი სილაგაძე:** „ამ თემასთან დაკავშირებით გაიმართა კონსულტაციები, გადამზიდავები არასათანადო პირობებში არ უნდა ჩავაყენოთ, ზოგი კეთილსინდისიერად იხდიდა დაკისრებულ გადასახადს, ასე რომ მათი დაჩაგვრაც მიუღებელია, ტრანსპორტის მოძრაობის აღდგენის შემდეგ არის მთელი რიგი გადამზიდავებისა, ვინც ვერ შეძლო გადასახადების გადახდა, სულ 17 გადამზიდავია, უმრავლესობას გადაუხდელი აქვს და ნაწილდება ყველაზე, თუმცა მათი წილობრივი მონაწილეობა იქნება შეფარდებითი, არ დაიჩაგრება არც ერთი მათგანი."

კომისიის წევრი, ბატონი **ზაქრო მამასახლისი:** „შესასწავლია რამდენად შეუმცირდათ გადასახადი გადამზიდავებს, არის თუ არა ეს ციფრი გონივრული და შეძლებდნენ თუ არა გადახდას?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის- ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე, ბატონი **ვალერი სილაგაძე:** „2021 წლის 27 მაისის დადგენილებით გადამზიდავებს გადასახადი შეუმცირდათ 28 %-ით, წინ დაედო საფუძვლად კვლევა, მგზავრთა ნაკადი იყო შემცირებული და ყოველივე ამის საფუძველზე მოხდა შემდეგი გადაწყვეტილების მიღება."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი **ირაკლი შენგელია:** „როდესაც 8 თებერვლიდან აღდგა ტრანსპორტის მოძრაობა, აღმასრულებელმა რგოლმა შეამოწმა ყველა გადამზიდავის შემოსავალი და აღმოჩნდა, რომ მგზავრთა ნაკადის შემცირებით გამოწვეული იყო 28 პროცენტიანი კლება შემოსავლისა და მიიღო გონივრული გადაწყვეტილება გადასახადის, შესაბამისად 28%-იან კლებასთან დაკავშირებით. ახლა საუბარია ამ დაკლებული გადასახადის გადაუხდელობაზე, რომელიც გადანაწილებულ უნდა იქნას 2022 წლის განმავლობაში."

საკითხთან დაკავშირებით დებატები შეწყდა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ლევან სანიკიძემ** დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 11-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ლაშა შალამბერიძე, დავით ბახტაძე.

ღია კენჭისყრით, (მომხრე-7 წევრი, წინააღმდეგი-4 წევრი, ქალბატონი ბიბილეიშვილი ნინო, ბატონები: შუშანია გრიგოლი, კილაძე გიორგი,ბრეგაძე ბესიკი) **დ ა ა დ გ ი ნ ე ს :**

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ახალი კორონავირუსის („COVID-19) გავრცელების გამო, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მარშრუტებზე M_2 (ავტობუსები 5 ტონამდე სრული მასით) და M_3 (ავტობუსები 5 ტონაზე მეტი სრული მასით) კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით მომსახურების გამწევ კომპანიებზე, 2021 წლის 8 თებერვლიდან 2021 წლის 31 მაისის ჩათვლით პერიოდში ნებართვების გაცემის ფასის გადაუხდელობით არსებული დავალიანების 2022 წლის ბოლომდე განწილვადებით გადახდის თაობაზე„ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 იანვრის N347 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და წარდგენილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე შენიშვნების გარეშე.

მუხლი 2. დღის წესრიგის პირველ საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეორე საკითხის- **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ქუთაისის სატრანსპორტო კომპანიისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილემ, ბატონმა **ვალერი სილაგაძემ.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ბატონმა **ვ.სილაგაძემ** აქვე განმარტა: „ჩვენ ჩამოყალიბებული გვაქვს შპს „სატრანსპორტო კომპანია“ და მერიის ტენდერის საფუძველზე ამისთვის აშენებულ და მოწყობილ იქნა ბაზა, ავანგარდში, სულხან-საბას გამზირზე, იქ ოპერირებს ჩვენი შპს და სამართლებრივად სრულყოფაში მოსაყვანად მერიამ ჩათვალა საჭიროდ, რომ ამ ტერიტორიის უზუფრუქტუარი გახდეს თვითონ ეს კომპანია. სარგებლობაში გადაეცეს მისი არსებობის ვადით და დაეკისროს საკუთარი ხარჯებით მისი მოვლა-პატრონობა, კომუნალური გადასახადები, რემონტი და ა.შ.“

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

კომისიის წევრი, ბატონი **გრიგოლ შუშანია:** „ამ საკითხთან დაკავშირებით განცხადებას

გავაკეთებ თქვენის ნებართვით, ჩვენ სამოქმედო გეგმა-გრაფიკს შევადგენთ მოკლე ხანში და თუ არის შესაძლებელი ერთ-ერთ საკითხად შევიტანოთ ამ სატრანსპორტო კომპანიის მოწვევის საკითხი, გვაინტერესებს საშტატო ნუსხა, თანამშრომელთა და მძღოლთა რაოდენობა და მოვისმინოთ ანგარიში, თუ არ იქნება პრობლემა რა თქმა უნდა."

კომისიის წევრი, ბატონი **ბესიკ ბრეგაძე:** „თქვენის ნებართვით ამ მუშა პროცესს მრავალფეროვნებისთვის დავამატებდი ერთ რამეს, თუ იქნება საშუალება გასვლითი სხდომაც ჩავატაროთ და ადგილზე დავათვალიეროთ ყველაფერი, აქვე დავამატებ ერთ მეტად ყურადსაღებ თემასაც, აღნიშნულ კომპანიას ახლო მომავალში ექნება ძალიან ბევრი საზრუნავი, იმიტომ რომ ავტობუსები, რომლებც გადმოგვეცა და რომლის ვალიც ჯერ გადახდილი არ არის, ძალიან მალე დაიწყებენ ამორტიზირებას და ამ ეტაპზე ბიუჯეტში განსაზღვრული თანხა არ იქნება საკმარისი მათი შეკეთებისათვის, ეს საკითხი დასარეგულირებელია."

ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ლევან სანიკიძე:** „მუნიციპალურ ტრანსპორტს ყველა ქვეყანაში სუბსიდირება აქვს, გამორიცხულია ატობუსი იქნება ეს, ტრამვაი თუ მეტროპოლიტენი, ყველა მათგანს სჭირდება სუბსიდირება, მოგებას არც ერთ ქვეყანაში არ იძლევა მუნიციპალური ტრანსპორტი."

საკითხთან დაკავშირებით დებატები შეწყდა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ლევან სანიკიძემ** დღის წესრიგის მე-2 საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 11-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ლაშა შალამბერიძე, დავით ბახტაძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ქუთაისის სატრანსპორტო კომპანიისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ"და წარდგენილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე შენიშვნების გარეშე.

მუხლი 2. დღის წესრიგის მე-2 საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მესამე საკითხის- „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში

არსებული მოძრავი ქონების (ავტოსატრანსპორტო საშუალების ნაწილების) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ქუთაისის სატრანსპორტო კომპანიისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილემ, ბატონმა **ვალერი სილაგაძემ.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ბატონმა **ვ.სილაგაძემ** აქვე განმარტა: „როდესაც მუნიციპალური განვითარების ფონდმა შეიძინა ავტობუსები, ამასთან ერთად შეიძინა სათადარიგო ნაწილების გარკვეული რაოდენობა, რომელიც ამ ავტობუსებან ერთად გადმოსცა მერიას უსასყიდლოდ, რეალურად სატრანსპორტო კომპანია იყენებს ამ ნაწილებს და ჩვენ გვინდა, რომ მოექცეს სამართლებრივ ჩარჩოებში და რაგდან ეს ავტობუსები გადაცემული გვაქვს სატრანსპორტო კომპანიისათვის თხოვების ფორმით, გადავცეთ ასევე აღნიშნული სათადარიგო ნაწილებიც.“

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ლევან სანიკიძე:** „ერთი რეკომენდაცია მექნება ბატონო ვალერი, ამ ჩამონათვალში მითითებული ფასები ამოვიღოთ, შევიტანოთ მხოლოდ დასახელებები და რაოდენობები, მე საჩუქრად მაქვს გადმოცემული და მეც უსასყიდლოდ თხოვების ფორმით გადავცემ, ასე რომ ჩვენთვის ფასეულობა მნიშვნელოვანი და აუცილებელი არ არის. აღნიშნული საკითხი უშუალოდ მერიამ და სატრანსპორტო კომპანიამ მიღება-ჩაბარების აქტში მიუთითოს და ჩემი თხოვნა იქნება ერთი პირი ამ აქტისა მოაწოდონ ჩვენს კომისიას.“

საკითხთან დაკავშირებით დებატები შეწყდა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ლევან სანიკიძემ** დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 11-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ლაშა შალამბერიძე, დავით ბახტაძე.

კომისიამ ღია კენჭისყრით,(მომხრე-7 წევრი, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო: 4-მა წევრმა, ქალბატონმა ნინო ბიბილეიშვილმა, ბატონებმა: გრიგოლ შუშანიამ, გიორგი კილაძემ, ბესიკ ბრეგაძემ) **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების (ავტოსატრანსპორტო

საშუალების ნაწილების) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ქუთაისის სატრანსპორტო კომპანიისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ„ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 იანვრის N347 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და წარდგენილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე, შეტანილი შენიშვნების გათვალისწინებით.

მუხლი 2. დღის წესრიგის მე-3 საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

სხდომის დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის დასრულების გამო ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა ლევან სანიკიძემ, კომისიის სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ამით, ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და
საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე
ლევან სანიკიძე